საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 04-07/22296
26/08/2016

22296-04-07-2-201608261302

„ფაქტ-მეტრი“-ს რეგიონულ ანალიტიკოსს
ქალბატონ ნინო ბოლაშვილს

ქალბატონო ნინო,

სამინისტროში 2016 წლის 22 აგვისტოს შემოსული თქვენი წერილის პასუხად, გიგზავნით შემდეგ ინფორმაციას:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ 92 (ოთხმოცდათორმეტ) დევნილ ოჯახს დაუფინანსა იპოთეკური სესხი და თანხის გადარიცხვა მოხდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ,,საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით სამინისტროსათვის დამტკიცებულ ასიგნებებში.

2. იპოთეკური სესხების დასაფარად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცა 1 738 396.00 (ერთი მილიონ შვიდასოცდათვრამეტიათას სამასოთხმოცდათექვსმეტი) ლარი.
3. დევნილი ოჯახების მიერ იპოთეკური სესხის დაფარვის თაობაზე შევსებული განაცხადების შეფასება განხორციელდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის №320 ბრძანების მე-3 პუნქტით დამტკიცებული „სოციალური კრიტერიუმის“ - №5 დანართის შესაბამისად.
4. დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულია 88 215 (ოთხმოცდარვაათას ორასთხუთმეტი) დევნილი ოჯახი. მათგან დაკმაყოფილებულია 35 568 (ოცდათხუთმეტიათას ხუთასსამოცდარვა) ოჯახი და დასაკმაყოფილებელია 52 647 (ორმოხდათორმეტიათას ექვსასორმოცდაშვიდი) ოჯახი.

5. იპოთეკური სესხის დაფარვის თაობაზე 531 (ხუთასოცდათერთმეტი) ოჯახს აქვს შევსებული განაცხადი.

პატივისცემით,

გოგუცა გურული



საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი